



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 5/13

2023 წლის 29 მაისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას განმეორებითი აუქციონის ჩატარებისა და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის, №4/30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 08 თებერვლის, №42.42230397 ბრძანების საფუძველზე 2023 წლის 09 თებერვლის 15:00 საათიდან, 2023 წლის 23 თებერვლის 15:00 საათამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდა განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი (აუქციონის ნომერი 29193, ლოტის ნომერი 865034) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზებასთან დაკავშირებით - საწყისი საპრივატიზებო განისაზღვრა 736.50 (შვიდასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, „ბე“ განისაზღვრა 220.95 (ორასოცი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი 7.36 (შვიდი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარით, გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონებზე არ გამოვლინდა გამარჯვებული და არ განხორციელდა ხსენებული მოძრავი ქონების პრივატიზაცია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 24 თებერვლის, № 42. 42230555 ბრძანების საფუძველზე 2023 წლის 24 თებერვლის 15:00 საათიდან, 2023 წლის 09 მარტის 10:00 საათამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდა განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი (აუქციონის ნომერი 29193, ლოტის ნომერი 870852) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზებასთან დაკავშირებით - საწყისი საპრივატიზებო განისაზღვრა 736.50 (შვიდასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, „ბე“ განისაზღვრა 220.95 (ორასოცი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი 7.36 (შვიდი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარით, გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონებზე არ გამოვლინდა გამარჯვებული და არ განხორციელდა ხსენებული მოძრავი ქონების პრივატიზაცია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზებისას განმეორებითი აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით აუქციონად ჩაითვლება. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, № 669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის შესაბამისად, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო თბილისის შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ხსენებული დადგენილების 38-ე მუხლის თანახმად, თუ არ მოხდება აუქციონზე გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, განმეორებით აუქციონზე აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური/ქირის საწყისი საფასური შეიძლება 50%-მდე შემცირდეს, ხოლო, თუ მუნიციპალიტეტის ქონება განმეორებით აუქციონზეც არ განიკარგა, საწყისი საპრივატიზებო საფასური/ქირის საწყისი საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ასეთ შემთხვევაში, ყოველი განმეორებითი აუქციონის ჩატარებისას, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურს და სხვა პირობებს ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებულ უნდა იქნეს ამ დროისთვის პრივატიზებული ქალაქ ფოთში, ვალერი გეგმის ქუჩაზე მდებარე 512.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.07.973), ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანში მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.003), ასევე სატრანსპორტო საშუალებები ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER 085 RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი), ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER 086 RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი), ZONDA BUS (სარეგისტრაციო ნომერი ER 087 RE, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ავტობუსი) და FORD CARGO 1824 (რეგისტრაციის ნომერი BK 820 KB, გამოშვების წელი 2007, ტიპი - სპეციალიზებული).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების პრივატიზებასთან დაკავშირებით ჩატარდეს განმეორებითი აუქციონი.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 59.8 მ³ გრანიტის ქვის ნატეხი ფილების და 3.4 მ³ პორფირიტის ქვის ნატეხი ფილების საწყისი საპრივატიზებო საფასური 14730.00 (თოთხმეტი ათას შვიდასოცდაათი) ლარი შემცირდეს 99 %-ით და განისაზღვროს 147.30 (ასორმოდამედი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარით.

მუხლი 3.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 19 აპრილის, №4/30 განკარგულებაში და განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა) და დანართი №2 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.


მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 5.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 29 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე




ალექსანდრე ტყეშუჩავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

N	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა N207	562.00		04.02.11.901
2	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	ქალაქი ფოთი, იმერეთის ქუჩა N 19	283.00	N 1	04.02.10.267
3	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	ქალაქი ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N 45	517.00	N 1	04.02.01.572
4	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	ქალაქი ფოთი, კონსტანტინე რეკვიავას ქუჩა N 5	1515.00	N 1	04.01.10.760
5	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასაცხოვრებელი ფართი (ორი საკადასტრო კოდი მეორე სართულზე) (ერთ ლოტში გაერთიანებული)	ქალაქი ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქუჩა N 1			04.02.08.082.01.03.512; 04.02.08.082.01.03.513; 04.02.08.082.01.03.511
6	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ფოთი, შოთა მერტილიშვილის სანაპირო	42.00		04.02.08.984

N	მესაკუთრე	მომრავი ქონების დასახელება	რეგისტრაციის/სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	რეგისტრაციის/სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი	სხვა მონაცემები
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	სატრანსპორტო საშუალება GAZ 48321	ABI 606	2004	AA0074576	ფერი - თეთრი, ტიპი - სატვირთო

2	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	გრანტის ქვის ნატეხი ფილები - 59.8 მ ³ , პორფირიტის ქვის ნატეხი ფილები - 3.4 მ ³
---	----------------------------	---




საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყეზურაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა

N	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა	აუქციონის შედეგომ მუნიციპალიტეტის შემოსული ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	562.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.11.901)	ქალაქი ფოთი, გურიის ქუჩა N207	50 900.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემოსული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
2	283.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267)	ქალაქი ფოთი, იმერეთის ქუჩა N 19	28 245.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემოსული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
3	517.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572)	ქალაქი ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N 45	41 195.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემოსული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
4	1515.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760)	ქალაქი ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა N 5	199 010.00	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემოსული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

5	<p>მეორე სართულზე მდებარე 127.38 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.512); მეორე სართულზე მდებარე 141.78 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.513); 25.54 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.511) (ერთ ლოტში გაერთიანებული)</p>	<p>ქალაქი ფოთი, გიორგი კანტურიას ქუჩა N 1</p>	<p>189420.00</p>	<p>უპირობო</p>	<p>აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში</p>
6	<p>42.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.984)</p>	<p>ქალაქი ფოთი, შოთა მეგრელიძის სანაპირო</p>	<p>5800.00</p>	<p>უპირობო</p>	<p>აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში</p>
7	<p>სატრანსპორტო საშუალება GAZ 48321 (სარეგისტრაციო ნომერი - ABJ 606, გამოშვების წელი - 2004, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწიბის ნომერი AA0074576)</p>		<p>2 700.00</p>	<p>უპირობო</p>	<p>აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში</p>
8	<p>გრანიტის ქვის ნატეხი ფილები - 59.8 მ³, პორფირიტის ქვის ნატეხი ფილები - 3.4 მ³</p>		<p>147.30</p>	<p>უპირობო</p>	<p>აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში</p>



საქართველოს თავეჯდომარე

ალექსანდრე ტყეშელაშვილი